საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მტრედი

მტრედი. გარეული **მ.** გვიძინი.

მტრედი. ქედანი.

მ. (Columba), ფრინველთა გვარი მტრედისებრთა ოჯახისა. მოიცავს 35 სახეობას, რ-თაგან საქართველოში ბინადრობს სამი: გარეული **მ**. (C. livia), გვიძინი ან გულიო (C. oenas) და ქედანი (C. palumbus). **მ**-ის ფრთის შლილია 20–27 *სმ*, მასა – 200–650 *გ*. გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და ავსტრალიაში, მ. შ. ყველაზე ფართოდ – გარეული **მ**., რ-იც ინტროდუცირებულია ყველა კონტინენტზე. **მ**. მოშინაურებულია 5000, ზოგი მონაცემით 10000 წლის წინ. მისგან გამოყვანილია შინაური მ-ის 800-ზე მეტი ჯიში.

ა. ბუხნიკაშვილი